საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა ხარჯებში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ამგვარი ხარჯის გაწევის შემთხვევაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მოთხოვნის ან ვალდებულების ნაწილში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(დ) გადასახადები (გაგრძელება)

საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია ყველა საგადასახადო ვალდებულებასთან და მოთხოვნასთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

(ე) აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად/

გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში.

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ▶ მისი ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- ▶ დასაფარია საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- ▶ საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს.

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი საწარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(i) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი საწყისი აღიარებისას.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესმოდელზე, რომლითაც მათ მართავს. კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რასაც, იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, ემატება საოპერაციო დანახარჯები. სავაჭრო მოთხოვნა, რომელიც არ მოიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს (IFRS) 15-ით „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების გამოსამუშავებლად. ეს ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ორივეს შედეგად.

ფინანსური აქტივების ისეთი ყიდვა-გაყიდვა, როდესაც საჭიროა მათი ჩაბარება ნორმატიული აქტებით ან ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით (გარიგების სტანდარტული პროცედურა) გათვალისწინებულ ვადაში, აღირიცხება გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანია იღებს აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულებას.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი);
- ▶ სხვა სრულ შემოსავალში ასახვით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სავალო ინსტრუმენტები);

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, დაგროვილი შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე (წილობრივი ინსტრუმენტი);
- ▶ მოგება-ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სავალო ინსტრუმენტი)

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით; და
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს და სახსრებს საკრედიტო დაწესებულებებში (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები)

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (მე-4 შენიშვნა);
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები (მე-9 შენიშვნა).

კომპანია ყველა ფინანსური აქტივის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეყრდნობა სხვაობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ორ ეტაპად აღიარდება. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის. რომელთან მიმართებაშიც საწყისი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

საეაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში.

თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 120 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ კომპანია სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშებიდან ამოღება) უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ▶ ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა; ან
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დავიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადმოცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გზით. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ შენარჩუნებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ვალდებულებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს, ვითარებიდან გამომდინარე.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების, ნასესხები სახსრებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი საოპერაციო დანახარჯები.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გაუნაწილებელ მოგებაში, რადგან სესხების მთლიანი რაოდენობა მხოლოდ მშობელმა მიიღო.

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის ფინანსური ვალდებულება მოიცავდა სავაჭრო ვალდებულებას, საიჯარო ვალდებულებებს, გადასახდელ ხელფასებს, სხვა ვალდებულებებს და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური ვალდებულებები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ▶ სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- ▶ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება (სხვა ფინანსური და სავაჭრო ვალდებულებები)

სხვა ფინანსური და სავაჭრო ვალდებულებები

საწყისი აღიარების შემდეგ, სხვა ფინანსური და სავაჭრო ვალდებულებები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის დროს, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაცია შესულია ფინანსური ხარჯების მუხლში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საიჯარო ვალდებულებები

საწყისი აღიარების შემდეგ, საიჯარო ვალდებულებები (ა) იზრდება ფინანსური დანახარჯების ოდენობით, რომელიც დაანგარიშდება საწყისი საიჯარო ვალდებულებების პერიოდულ საპროცენტო განაკვეთზე გამრავლებით და (ბ) მცირდება გადახდილი იჯარის თანხის ოდენობით.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(iii) ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქცევის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი.

(iv) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველი თარიღისთვის.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ▶ ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი).
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი საანგარიშგებო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-20 შენიშვნაში.

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. რომელიმე ამგვარი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის ხარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი და განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

კომპანია გაუფასურებას დეტალური ბიუჯეტებისა და ფინანსური პროგნოზების საფუძველზე გამოითვლის. ასეთი ბიუჯეტები და ფინანსური პროგნოზები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. უფრო ხანგრძლივი პერიოდისთვის გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

განგრძობითი ოპერაციების გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, მარაგების გაუფასურების ჩათვლით, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგების ხარჯების კატეგორიებში გაუფასურებული აქტივის ფუნქციის შესაბამისად.

აქტივებისთვის ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი შეიძლება აღარ არსებობდეს ან შემცირებული იყოს. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, კომპანია აფასებს აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურები ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც მას ექნებოდა ცვეთის გამოკლებით წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული.

(თ) ძირითადი საშუალებები

ყველა ძირითადი საშუალება თვითღირებულებით აღირიცხება, დაგროვილი ცვეთის და/ან დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, კომპანია ასეთ ნაწილებს აღიარებს დამოუკიდებელ აქტივად კონკრეტული სასარგებლო მომსახურების ვადით და შესაბამისად აღრიცხავს ცვეთას. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექტირება, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. რემონტისა და ტექმომსახურების ყველა სხვა დანახარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მათი გაწევისთანავე.

ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

შენობა-ნაგებობები	50 წლამდე
მილსადენები	50 წლამდე
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	3-30 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სხვა	1-20 წელი

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველი ფინანსური წლის დასასრულს გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, პერსპექტიულად კორექტირდება.

(ი) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების ან კონვერტაციის ხარჯებს და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ი) მარაგები (გაგრძელება)

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება გამოითვლება, როგორც ჩვეული საქმიანობის პროცესში სავარაუდო გასაყიდ ფასს გამოკლებული დასრულების და გაყიდვის სავარაუდო ხარჯი.

(კ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში ფულადი სახსრები ინახება წამყვან ქართულ ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. ფულადი სახსრების ანგარიშებზე ირიცხება პროცენტი, რომელიც უმნიშვნელო ღირებულების არის. 2022 წელს მიმდინარე ანგარიშებზე აღიარებულმა ფინანსურმა შემოსავალმა 330 ლარი შეადგინა (2021 წ.: 97 ლარი).

(ლ) ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ განსაზღვრა. თუ კომპანია მოელის რამდენიმე ან ყველა ანარიცხის ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება ცალკე აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ანაზღაურება გადაწყვეტილია. ანარიცხებთან დაკავშირებული ხარჯები წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ნებისმიერი ანაზღაურების გამოკლებით.

თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მნიშვნელოვანია, ანარიცხების დისკონტირება ხდება მიმდინარე დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასახავს ამ ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტირების გამოყენების შემთხვევაში, ანარიცხების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარებულია ფინანსური დანახარჯების ნაწილში.

(მ) ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები

ხელფასები, წლიური შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და სხვა სარგებელი ირიცხება იმ პერიოდში, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიას აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ თანამშრომელთა მთლიანი ხელფასებიდან და სხვა გასამრჯელოებიდან 2% სახელმწიფოს საპენსიო სააგენტოს ფონდში გადაიხადოს. კომპანია არ არის პასუხისმგებელი შრომითი საქმიანობის შემდგომ გასამრჯელოებზე.

(ნ) საიჯარო ხელშეკრულებები

აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი ხელახალი შეფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების თანხას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით. აქტივის გამოყენების აღიარებულ უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადასა და აქტივების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ნ) საიჯარო ხელშეკრულებები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები

კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს. საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, თუ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საიჯარო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

(ო) საოპერაციო სეგმენტი

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საოპერაციო მართვის უმაღლესი ორგანო მთლიან კომპანიას აფასებს, როგორც ერთ საოპერაციო სეგმენტს - გაზის ბიზნესს. საოპერაციო მართვის უმაღლესი ორგანო აფასებს შესრულების მაჩვენებლებს ამონაგების, დაბეგვრამდე მოგების და წმინდა მოგების საფუძველზე, რომელიც ფასდება ფასს სტანდარტების მიხედვით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2022 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია არსებითი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს (IFRS) 3-ის ცვლილება „კონცეპტუალური მიდგომა“;
- ▶ „ძირითადი საშუალებები: შემოსავალი დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე“ - ბასს (IAS) 16-ის ცვლილება;
- ▶ „წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი“ - ბასს (IAS) 37-ის ცვლილება;
- ▶ „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება - შვილობილი საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს სტანდარტებს“;
- ▶ ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები“;
- ▶ ბასს (IAS) 41 - „სოფლის მეურნეობა - დაბეგვრა სამართლიანი ღირებულებით შეფასებაში“.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

3.2 ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და სავალდებულოა შედარებადი რიცხოვრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს (IFRS) 9-სა და ფასს (IFRS) 15-ს, ფასს (IFRS) 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს.
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“ - ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, და გამოიყენება რეტროსპექტულად. 2022/2023, 2021 წლების ივნისის შეხვედრაზე, საბჭომ წინასწარ მიიღო გადაწყვეტილება ბასს (IAS) 1-ის 2020 წლის ცვლილებების მოქმედების ვადის მინიმუმ 2024 წლის 1 იანვრამდე გადატანის თაობაზე.
- ▶ „სააღრიცხვო შეფასებების განმარტება“ - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება - ძალაშია 2023 წლის 1 იანვრით დაწყებული და შემდგომი წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და ვრცელდება ცვლილებაზე სააღრიცხვო პოლიტიკაში და სააღრიცხვო შეფასების ცვლილებაში, რომლებიც ამ პერიოდის დასაწყისში ან შემდგომ პერიოდებში წარმოიშობა. ნებადართულია ცვლილებების ვადაზე ადრე გამოყენება, ამ ფაქტის გამჟღავნებამდე.
- ▶ „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ, რომელიც ვრცელდება 2023 წლის 1 იანვრით დაწყებულ ან შემდგომ ყოველწლიურ პერიოდებზე, ამასთან ნებადართულია ვადაზე ადრე მიღება.
- ▶ ბასს (IAS) 12-ის ცვლილება - „ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“ - 2021 წლის მაისში, საბჭომ გამოსცა ბასს (IAS) 12-ის ცვლილება, რომლითაც იზღუდება საწყისი აღიარების გამონაკლისის ფარგლები ბასს (IAS) 12-ის საფუძველზე, როცა ის აღარ ვრცელდება ოპერაციებზე, რომლებიც წარმოშობს თანაბარ დასაბეგრ და დასაქვით დროებით სხვაობებს.

ამ მომენტისთვის კომპანია აფასებს გადასინჯული სტანდარტების და ცვლილებების გავლენას, მაგრამ არ მოელის, რომ მათ არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და ასევე პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის. თუმცა ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

განსჯა

ქვემოთ წარმოდგენილია ხელმძღვანელობის განსჯა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გატარების პროცესში, რომელიც ყველაზე მეტად მოქმედებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე:

მშობელი საწარმოს სესხის აღიარება

კომპანიამ გააფორმა ხელშეკრულებები წილობრივი პასუხისმგებლობების მხარის სახით, მშობელი საწარმოს მიერ აღებული სესხების დაფარვაზე. ხელმძღვანელობამ ხელახლა შეაფასა ამ სასესხო ხელშეკრულებებში მონაწილეობა და გადაწყვიტა ყველა ზემოთ ხსენებულ შეთანხმებაში მისი მონაწილეობის აღიარება სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (მე-16 შენიშვნა).

სხვა ფინანსური ვალდებულებების დასაფარად, კომპანია პირდაპირ იხდის თანხას ბანკში, ან რიცხავს ფულს მშობელ საწარმოსთან, იმ მიზნით, რომ ეს უკანასკნელი განახორციელებს ანგარიშსწორებას ბანკში. ამასთან, დროდადრო კომპანია დამატებით თანხებს გასცემს მშობელ საწარმოზე. ზემოთ ხსენებული თანხის ყველა გაცემა იურიდიულად ფორმდება მშობელ საწარმოზე გაცემული სესხების სახით და შესაბამისად კომპანიას აძლევს მოთხოვნის სამართლებრივ უფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხები მშობელი საწარმოს მიმართ მოთხოვნას წარმოადგენს, კომპანიამ გადაწყვიტა არ ელიარებინა ისინი იმ ფაქტის გამო, რომ სესხები არ იყო უზრუნველყოფილი, კომპანიას არ აქვს მშობელი საწარმოს მიერ სესხების დაფარვის უნარის მტკიცებულება და სესხის გაცემაც და დაფარვაც სრულად ეფუძნება მშობელი საწარმოს გადაწყვეტილებას. სხვა ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული გაცემები აღირიცხება, როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებების შემცირება, ხოლო დამატებითი გაცემები აღირიცხება პირდაპირ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში.

საკუთრების უფლება გაზსადენ ქსელზე

2014 წლის 31 ოქტომბერს სემეკმა დაამტკიცა #26 დადგენილება, რომელიც ძალაში შევიდა „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების დამტკიცების შესახებ“ სემეკის 2009 წლის 9 ივლისის #12 დადგენილების ცვლილების სახით. ამ დადგენილების მიხედვით, აბონენტის ტერიტორია განისაზღვრა, როგორც მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ტერიტორია. აბონენტის ტერიტორიის გარეთ („წითელი ხაზი“) მდებარე ყველა მასალა და აღჭურვილობა, გაზის მრიცხველების ჩათვლით, წარმოადგენს ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიის მფლობელის საკუთრებას, მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად. კომპანია ახდენს ახალი მომხმარებლების ქსელთან მიერთებისთვის გაწეული კაპიტალური დანახარჯების იმ ნაწილის კაპიტალიზაციას, რომელიც გაიწია მომხმარებლის ტერიტორიის გარეთ, „წითელი ხაზის“ მიღმა. კომპანიის გადაწყვეტილებას „წითელი ხაზის“ მიღმა ჩატარებული ამგვარი სამუშაოების მოცულობაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კაპიტალიზებული დანახარჯების ღირებულებაზე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გაცხადებულ ძირითად საშუალებებში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განსჯა (გაგრძელება)

დროში სხვაობა

ბუნებრივი გაზის რეალიზაციის აღიარება ხდება მომხმარებლების მიერ მრიცხველის მიხედვით გაზის მოხმარების საფუძველზე. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ნებისმიერი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანიას რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ბუნებრივი გაზი, რომელზეც არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. ამონაგების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული ელექტროენერგიის მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან საანგარიშგებო თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაზის ახალი მომხმარებლის ქსელთან მიერთების შედეგად წარმოქმნილი ამონაგები არის ცალკე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და მას აღიარებს გაზგამანაწილებელ ქსელთან მომხმარებლის მიერთებისას.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები დაშვებებში აისახება მათი დადგომისთანავე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, კომპანია აფასებს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების რაიმე ობიექტური ნიშნის არსებობას. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ წარმოიშვა გაუფასურების ზარალი ან მოსალოდნელია ნეგატიური ცვლილება საპროგნოზო ინფორმაციაში, აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. ხელმძღვანელობამ 10,894 ლარი (2021 წ.: 10,190 ლარი და 2021 წლის 1 იანვარს: 11,484 ლარი) სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებად განსაზღვრა.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. ამონაგები

	2022	2021
ბუნებრივი გაზის გაყიდვა	416,573	344,301
მიერთება, ინსტალაცია და სარემონტო სამუშაოები	19,498	16,873
ამონაგები გაზის ტრანზიტისგან	1,882	1,563
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	437,953	362,737
გაზის მრიცხველების გაყიდვა	107	79
სხვა საოპერაციო ამონაგები	664	477
მოლიანი ამონაგები	438,724	363,293

კომპანიამ აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	2022	2021	2021 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები (მე-9 შენიშვნა)	79,147	63,795	44,112
სახელშეკრულებო ვალდებულებები (მე-14 შენიშვნა)	14,531	10,849	25,433

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობოა ხდება. სავაჭრო მოთხოვნები ღარშია გამოხატული. სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების მნიშვნელოვანი ზრდა მეტწილად უკავშირდება კომერციული და სოციალური გაზის უფრო მაღალ გაყიდვებს. 2022 წელს ამონაგები კომერციული და სოციალური გაზიდან 2021 წელთან შედარებით 31%-ით და 18%-ით გაიზარდა (შესაბამისად) ფასის და მოცულობის ზრდის გამო.

სახელშეკრულებო ვალდებულებები წარმოადგენს მომხმარებლებისგან მიღებულ საზღაურს და კომპანიის ვალდებულებას მიაწოდოს ბუნებრივი გაზი და გაზიფიკაციის მომსახურება გაუწიოს თავის აბონენტებს. 2022 წელს კომპანიამ აღიარა ამონაგები 10,849 ლარის (2021 წ.: 25,433 ლარი და 2021 წლის 1 იანვარი: 6,937 ლარი) ოდენობით, რომლებიც სახელშეკრულებო ვალდებულებებშია შესული საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში. მნიშვნელოვანი ზრდა სახელშეკრულებო ვალდებულებებში 2021 წელთან შედარებით უკავშირდება რეგულირებული გაზიფიკირებული სამუშაო ტარიფების 37%-იან ზრდას 2021 წლის 17 ოქტომბრიდან.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

6. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2022	2021
მიერთების, ინსტალაციის და სარემონტო მომსახურება	4,552	3,391
გადასახადები	2,182	2,097
გამოყენებული მასალები	2,113	1,572
საოფისე ხარჯები	1,823	1,492
პროფესიული მომსახურება (ა)	1,630	1,762
საწვავის ხარჯი	1,507	1,108
ბუნებრივი გაზის სისტემის რეგულირების მოსაკრებელი	838	689
რემონტი და ტექმომსახურება	668	571
კომუნიკაციის ხარჯები	582	475
კომუნალური ხარჯები	249	232
სადაზღვეო ხარჯები	193	192
საბანკო ცვლილებები და საკომისიოები	115	60
სხვა	1,095	992
	17,547	14,633

(ა) კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური 148 ლარს შეადგენდა (2021 წ.: 175 ლარი), დღგ-ის გამოკლებით სხვა აუდიტორებისა და აუდიტორული კომპანიებისთვის მათ მიერ გაწეულ პროფესიულ მომსახურებაში გადასახდელი გასამრჯელო და ასანაზღაურებელი დანახარჯები შეადგენდა 53 ლარს (2021 წ.: 50 ლარი), დღგ-ის გარეშე.

7. ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

	2022	2021
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე	330	97
	330	97
ფინანსური დანახარჯები		
საპროცენტო ხარჯი სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე (მე-16 შენიშვნა)	11,293	12,142
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე (18.1 შენიშვნა)	75	116
	11,368	12,258

8. სხვა შემოსავალი და ხარჯები

	2022	2021
სხვა შემოსავალი		
ძირითადი საშუალებების გაუფასურების გაუქმება (მე-12 შენიშვნა)	1,352	–
შემოსულობა საგადასახადო ვალდებულების ჩამოწერიდან (ბ)	–	8,482
ინვენტარიზაციის შედეგების აღიარება	166	192
სხვა	210	545
	1,728	9,219
სხვა ხარჯები		
ვადაგადაცილებულ ვალდებულებებზე დარიცხული ჯარიმა (ა)	7,789	360
გაუფასურების ხარჯი მარაგებზე	4	72
ძირითადი საშუალებების გაუფასურების ხარჯი (მე-12 შენიშვნა)	–	698
სხვა	356	345
	8,149	1,475

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

8. სხვა შემოსავალი და ხარჯები (გაგრძელება)

- (ა) 2022 წელს კომპანია და მისი გაზის მომწოდებლები შეთანხმდნენ საჯარიმო თანხაზე, გაზის შესყიდვის ვადაგადაცილებული ვალდებულებებისთვის. ჯარიმის შეთანხმებული თანხა იყო 10,113 ლარი, საიდანაც 1,160 ლარი აღიარებულია წინა წლებში და ჯარიმის შეთანხმებული თანხა ასევე გამოცხადდა 1,620 ლარის ოდენობით ფასდაკლების ეფექტად, ამ გადახდის გრძელვადიანი ხასიათიდან გამომდინარე. კომპანია ვალდებულია მთლიანი საჯარიმო ვალდებულება დაფაროს 2025 წლის 31 მარტამდე, შესაბამისად 5,813 ლარის ოდენობით ვალდებულება გრძელვადიანად მოიაზრება.
- (ბ) 2021 წელს საქართველოს მთავრობის ბრძანების #887 თანახმად, კომპანიამ ჩამოწერა საგადასახადო ვალდებულება საქართველოს მთავრობის მიმართ 8,482 ლარის ოდენობით.

9. სავაჭრო მოთხოვნები

	2022	2021	2021 წლის 1 იანვარი
სავაჭრო მოთხოვნები გაზის გაყიდვიდან	87,166	72,187	52,862
სავაჭრო მოთხოვნები მომსახურებებიდან	2,875	1,798	2,734
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი	(10,894)	(10,190)	(11,484)
სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	79,147	63,795	44,112

სავაჭრო მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება, მეტწილად 17-დღიანი ვადა აქვთ და ლარშია გამოხატული.

ქვემოთ მოცემულია მოძრაობა მისაღები სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში.

	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი
2021 წლის 1 იანვარი	11,484
გაუქმებული ანარიცხები, წმინდა	(310)
ანარიცხების ჩამოწერა	(984)
2021 წლის 31 დეკემბერი	10,190
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	729
ანარიცხების ჩამოწერა	(25)
2022 წლის 31 დეკემბერი	10,894

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის სავაჭრო მოთხოვნებში ფინანსური აქტივების საკრედიტო ზარალის ანალიზი იყო შემდეგი:

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები						
2022 წლის 31 დეკემბერი	მოკლევადიანი	ვადაგადაცილებული დღეები				სულ
		<30 დღე	30-90 დღე	91-120 დღე	>120 დღე	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	1%	5%	10%	21%	100%	12%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	78,691	770	124	38	10,418	90,041
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(415)	(40)	(13)	(8)	(10,418)	(10,894)

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები						
2021 წლის 31 დეკემბერი	მოკლევადიანი	ვადაგადაცილებული დღეები				სულ
		<30 დღე	30-90 დღე	91-120 დღე	>120 დღე	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0%	5%	10%	20%	100%	14%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	62,849	683	203	143	10,107	73,985
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	(34)	(20)	(29)	(10,107)	(10,190)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები						
2021 წლის 1 იანვარი	მოკლევადიანი	ვადაგადაცილებული დღეები				სულ
		<30 დღე	30-90 დღე	91-120 დღე	>120 დღე	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	–	5%	10%	20%	100%	21%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	43,310	649	127	89	11,421	55,596
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	–	(32)	(13)	(18)	(11,421)	(11,484)

10. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავდა საბანკო ანგარიშებზე არსებულ თანხებს. კომპანია საპროცენტო შემოსავალს იღებს რეზიდენტ ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე. გამომუშავებული საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე მოიცავდა 330 ლარს (2021 წ.: 97 ლარი).

11. მარაგები

	2022	2021	2021 წლის 1 იანვარი
სათადარიგო ნაწილები	840	934	1,057
სხვა	40	46	53
	880	980	1,110

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ აღრიცხა 4 ლარის ოდენობით მოძველებული მარაგების გაუფასურება (2021 წ.: 72 ლარი).

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. ძირითადი საშუალებები

მიწა	მილსადენები	შენობები და ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები და სხვ.	დაუმთავრებელი აქტივები	სულ
მთლიანი სააღრიცხვო ღირებულება						
2021 წლის 1 იანვარს	1,048	160,820	3,446	19,404	8,935	198,029
შესყიდვები	9	–	–	4,230	848	30,388
შიდა გადატანები	–	22,107	387	586	–	–
გასვლები	(157)	(55)	(57)	(520)	(1,153)	(2,043)
გაუფასურება (ა)	–	–	–	–	–	(698)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	900	182,872	3,776	23,700	8,630	225,676
შესყიდვები	–	–	–	4,844	1,433	35,493
შიდა გადატანები	–	28,407	434	–	–	–
გასვლები	–	(181)	–	(447)	(372)	(1,073)
გაუქმება (ა)	–	–	–	–	–	1,352
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	900	211,098	4,210	28,097	9,691	261,448
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2021 წლის 1 იანვარს	–	57,122	759	6,897	4,243	69,021
წლის დანარიცხი	–	6,761	96	2,207	964	10,028
გასვლები	–	(23)	(11)	(390)	(1,105)	(1,529)
2021 წლის 31 დეკემბერს	–	63,860	844	8,714	4,102	77,520
წლის დანარიცხი	–	7,693	139	2,522	961	11,315
გასვლები	–	(107)	–	(307)	(358)	(772)
2022 წლის 31 დეკემბერს	–	71,446	983	10,929	4,705	88,063
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება						
2022 წლის 31 დეკემბერს	900	139,652	3,227	17,168	4,986	173,385
2021 წლის 31 დეკემბერს	900	119,012	2,932	14,986	4,528	148,156
2021 წლის 1 იანვარს	1,048	103,698	2,687	12,507	4,692	129,008

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

12. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

- (ა) ყოველ საანგარიშგებო პერიოდში ხელმძღვანელობამ შეაფასა მოძველებული ხომ არ არის საწყობში დაცული მარაგი. ამ შედეგებზე დაყრდნობით, კომპანიამ დარიცხა გაუფასურების ხარჯი დაუმთავრებელი მშენებლობის მუხლებისთვის, რომლისთვისაც კომპანიას მიტოვებული აქვს დასრულების გეგმები ან აუქმებს იმ მუხლების თანხას, რომლებიც წლის განმავლობაში გამოყენებული და გადატანილი იყო მიღსადენებში. შესაბამისად, 2022 წელს კომპანიამ აღრიცხა 1,352 ლარის ოდენობით (2021 წ.: გაუფასურება შეადგენდა 698 ლარს) ადრე გაუფასურებული დაუმთავრებელი აქტივების გაუქმება.
- (ბ) 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები დაგირავებული იყო ქართული კომერციული ბანკიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (მე-16 შენიშვნა).

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

13. სავაჭრო ვალდებულება

	2022	2021	2021 წლის 1 იანვარი
შესყიდულ გაზთან დაკავშირებული ვალდებულება	64,347	90,468	70,713
კაპიტალურ ინვესტიციებთან დაკავშირებული ვალდებულება	2,652	5,309	10,460
მოწოდებულ მასალებში გადასახდელი თანხები	1,768	1,256	537
საკონსულტაციო მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულება	766	844	853
სხვა ვალდებულება	536	206	434
მთლიანი სავაჭრო ვალდებულება	70,069	98,083	82,997

14. სახელშეკრულებო ვალდებულებები

	2022	2021	2021 წლის 1 იანვარი
მომსახურებაში გადახდილი ავანსები	10,646	7,364	7,417
გაზის მიწოდებაში გადახდილი ავანსები	3,885	3,485	5,112
სახელმწიფო სუბსიდია (ა)	–	–	12,904
სულ სახელშეკრულებო ვალდებულებები	14,531	10,849	25,433

(ა) კოვიდ-19-ის ეკონომიკური მხარდაჭერის ინიციატივის ფარგლებში, საქართველოს მთავრობამ განახორციელა კონკრეტული კატეგორიის ფიზიკური პირი მომხმარებლების მიერ მოხმარებული წყლის, გაზის და ელექტროენერგიის საფასურის სუბსიდირება. ეს თანხა წარმოადგენს გაზის მოხმარების ავანსად გადახდას 2021 წლის იანვარ-თებერვალში.

15. ანარიცხები

	სხვა ფინანსურ ვალდებულებასთან დაკავშირებული გადასახადები	გამოყენებული შვებულება	სულ
2021 წლის 1 იანვარს	23,580	1,068	24,648
დარიცხვა საკუთარ კაპიტალში	55	–	55
დარიცხვა მოგებაში ან ზარალში	688	–	688
გამოყენებული და საგადასახადო ვალდებულებაში გადატანილი გაუქმება წლის განმავლობაში	(3,770)	–	(3,770)
	–	(150)	(150)
2021 წლის 31 დეკემბერს	20,553	918	21,471
დარიცხვა საკუთარ კაპიტალში	1,683	–	1,683
დარიცხვა მოგებაში ან ზარალში	542	–	542
გამოყენებული და საგადასახადო ვალდებულებაში გადატანილი წლის დანარიცხი	(5,755)	–	(5,755)
	–	266	266
2022 წლის 31 დეკემბერს	17,023	1,184	18,207

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. სხვა ფინანსური ვალდებულებები

2019 წლის განმავლობაში მშობელმა საწარმო რამდენიმე სესხი მიიღო ქართული კომერციული ბანკისგან. ამ ვალდებულებას მშობელი საწარმოს ნაცვლად ფარავს კომპანია პირდაპირ ბანკში ან მშობელი საწარმოს საბანკო ანგარიშით. ამასთან, ეს თანხები რჩება მოთხოვნად მშობელი საწარმოს მიმართ და კომპანია არ აღიარებს აქტივებს მისი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. კომპანიის მთლიანი აქტივები დაგირავებულია ხსენებული სესხების უზრუნველყოფის სახით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ნასესხები სახსრების მთლიანი რაოდენობა შესაბამისი პერიოდის წლის ბოლოსთვის:

	ვალუტა	2022	2021	2021 წლის 1 იანვარი
		ლარში	ლარში	ლარში
სესხი 1	ევრო	37,147	51,382	65,745
სესხი 2	ლარი	16,087	30,821	30,821
სესხი 3	ლარი	22,201	24,798	27,224
სესხი 4	ლარი	8,707	9,465	–
სესხი 5	ევრო	12,319	–	–
სესხი 6	აშშ დოლარი	–	–	9,830
სულ		96,461	116,466	133,620
გრძელვადიანი წილი		83,201	67,328	83,878
მოკლევადიანი წილი		13,260	49,138	49,742

ცვლილება სხვა ფინანსურ ვალდებულებებში

	მთლიანი
2021 წლის 1 იანვარი	133,620
ფინანსური დანახარჯები	12,142
საკუთსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	(8,241)
პროცენტის დაფარვა	(12,142)
პირითადი თანხის დაფარვა	(8,913)
2021 წლის 31 დეკემბერი	116,466
ფინანსური დანახარჯები	11,293
საკუთსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	(8,221)
პროცენტის დაფარვა	(11,293)
პირითადი თანხის დაფარვა	(11,784)
2022 წლის 31 დეკემბერი	96,461

17. საკუთარი კაპიტალი

17.1 საწესდებო კაპიტალი

2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საწესდებო კაპიტალი 0,2 ლარით განისაზღვრა, რომელიც ნულამდე დამრგვალდა ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნით და მისი 100%-ის მფლობელია შპს „ვოლთბეი“.

17.2 სხვა მოძრაობები

2022 წელს კომპანიამ დამატებით გასცა 11,220 ლარი (2021 წ.: 363 ლარი) შესაბამის გადასახადებთან ერთად, რომელიც განისაზღვრა, როგორც მოთხოვნა მშობელი საწარმოს მიმართ უზრუნველყოფის გარეშე სესხებზე, რომელიც პირდაპირ საკუთარ კაპიტალში აღირიცხა, კომპანიის სააღრიცხვო განსჯის შესაბამისად (მე-4 შენიშვნა).

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. პირობითი ვალდებულებები

18.1 საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე

აქტივების გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი მომდინარეობს საოფისე შენობების იჯარიდან, რომლებიც ბიზნეს-ცენტრებად გამოიყენება. კომპანიას აქვს დაბალფასიანი იჯარები GPS მოდულების იჯარასთან დაკავშირებით, 12-თვიანი ან ნაკლები ვადით. ამ იჯარებისთვის კომპანია იყენებს „დაბალფასიანი აქტივების იჯარის“ აღიარებისგან გათავისუფლების უფლებას.

ქვემოთ მოცემულია აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	აქტივის გამოყენების უფლება
2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,004
შესყიდვები	144
ამორტიზაციის ხარჯი	(321)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	827
ამორტიზაციის ხარჯი	(45)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	782

ქვემოთ მოცემულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება (რომელიც საიჯარო ვალდებულებებშია შესული) და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

	2022	2021	2020
1 იანვრის მდგომარეობით	1,046	1,032	1,120
შესყიდვები	–	144	228
პროცენტის დარიცხვა (მე-7 შენიშვნა)	75	116	108
გადახდები	(100)	(246)	(424)
31 დეკემბრის მდგომარეობით	1,021	1,046	1,032
გრძელვადიანი წილი	244	558	776
მოკლევადიანი წილი	777	488	256

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არამატერიალური ქონების, მათ შორის მილსადენი ქსელების გადაცემა უნდა დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში, რათა შემსყიდველს ჰქონდეს ვალიდური ქონებრივი უფლება. 2006 წელს კომპანიამ შეიძინა თბილისის ბუნებრივი გაზის გადამცემი ქსელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოსგან „თბილგაზი“. არამატერიალური ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია მოითხოვს რამდენიმე დოკუმენტის, მათ შორის ტექნიკური დოკუმენტაციის და ქონების საკადასტრო ნახაზების წარდგენას.

უნდა აღინიშნოს, რომ „თბილგაზის“ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელი რეესტრში არ იყო გატარებული და შესაბამისად, მისი დარეგისტრირება კომპანიის სახელზე შეუძლებელი იყო მიუხედავად იმისა, რომ „თბილგაზთან“ ხელი მოეწერა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას და კომპანიასა და „თბილგაზს“ შორის გაფორმდა ქონების ოფიციალური მიღება-ჩაბარების აქტი.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

18.1 საიჯარო ვალდებულებები - კომპანია, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

მსგავს ვითარებას ვხვდებით საქართველოში არსებულ კომუნალური მომსახურების კომპანიებში. საკომუნიკაციო ქსელების უმრავლესობა საბჭოთა კავშირის დროს არის გაყვანილი. მართალია, იმ დროს დოკუმენტირება შედარებით მისაღებ დონეზე იყო, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი 10-15 წლის განმავლობაში კორპორაციული მართვა და აღრიცხვიანობა მთლიანად მოიშალა. ამ პერიოდში ახლად შექმნილი აქტივების სათანადოდ დოკუმენტირება არ ხდებოდა, ხოლო ძველი დოკუმენტაცია ხშირად იკარგებოდა. ყოველივე ამის გამო, კომუნიკაციების ქსელების პრივატიზაციისას მათზე საკუთრების უფლება ინვესტორებს ძირითადად რეგისტრაციის გარეშე გადაეცემოდათ. ინვესტორებს უწევდათ აქტივების ინვენტარიზაცია, საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის, მათ შორის ტექნიკური ნახაზების მომზადება და აქტივების დარეგისტრირება.

კომპანიის აქტივების მთლიანი ბაზისთვის ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება რთული ამოცანაა, რომელიც მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსს მოითხოვს. კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, გაზგამანაწილებელი ქსელის რეგისტრაციის პროცესის დასრულებამდე მას ქსელის ექსპლუატაციის სრული იურიდიული უფლება აქვს და აქტივს თავის საკუთრებად მიიჩნევს „თბილგაზთან“ გაფორმებული ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების საფუძველზე.

რეგისტრაციის პროცესის შედეგად, კომპანიის ძირითადი საშუალებების დარეგისტრირებისთვის გარკვეული ცვლილებები შეიძლება გახდეს საჭირო, თუმცა ხელმძღვანელობის აზრით, ამ ცვლილებების შედეგის რაოდენობრივი შეფასება შეუძლებელია, შესაბამისად ისინი არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

18.3 ქონებრივი უფლებები - მიწა

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს კონკრეტულ მითითებებს ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით იმ მიწის ნაკვეთებზე, რომელთა ზედაპირზე და წიაღშიც კომპანიის გაზგამანაწილებელი აღჭურვილობაა განლაგებული. კომპანიის აქტივების დიდი ნაწილი საბჭოთა კავშირის დროს შეიქმნა, როდესაც კერძო საკუთრება არ არსებობდა. პრივატიზაციის პროცესში მიწისქვეშა და მიწისზედა საკომუნიკაციო ქსელებთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები არ ექვემდებარებოდა კონკრეტულ განხილვებს. კომპანია თავის ქსელურ ობიექტებზე წვდომისათვის სარგებლობს მიწის ნაკვეთებით, რომლებიც სხვა მხარეების საკუთრებაა, რაც წარმოშობს სერვიტუტის ურთიერთობებს მიწის მფლობელთან, თუმცა კომპანიას რიგ შემთხვევებში არ აქვს გაფორმებული ოფიციალური შეთანხმებები, განსაკუთრებით წინა პერიოდებში შექმნილ აქტივებთან დაკავშირებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

18.3 ქონებრივი უფლებები – მიწა (გაგრძელება)

მიწის საკუთრების უფლებები გაურკვეველია ძირითადად საბჭოთა კავშირის დროინდელ აქტივებთან დაკავშირებით. კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, ის ფაქტი, რომ მიწის ამჟამინდელი მფლობელები არ აპროტესტებენ მათი მიწის ნაკვეთებზე კომპანიის ინფრასტრუქტურის არსებობას უნდა ჩაითვალოს მათი მხრიდან არსებული ურთიერთობის დღევანდელი ფორმის მიღებად, რომელსაც იურიდიული ძალა აქვს. კანონის შემდგომ დაზუსტებამდე, კომპანიას შეიძლება მოუწიოს მიწის გარკვეულ ნაკვეთებზე საკუთრების უფლების მოპოვება ან იჯარის გადახდა სხვა მხარეებისათვის მიწის გარკვეული ნაკვეთებით სარგებლობის სანაცვლოდ. საქართველოში უძრავი ქონების ბაზარზე სწრაფად ცვალებადი სიტუაცია იმაზე მიანიშნებს, რომ სერვიტუტის უფლებებთან დაკავშირებული მომსახურებისთვის კომპანიას შეიძლება დაეკისროს გადახდები, როგორც მიმდინარე, ისე წინა პერიოდებისთვის.

ამ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ შეუძლებელია რაიმე დამატებითი ხარჯის გამოანგარიშება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება კომპანიას დაეკისროს ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე და, შესაბამისად, არ არის შექმნილი ანარიცხები ასეთი პოტენციური ვალდებულებებისთვის.

18.4 საინვესტიციო ვალდებულებები

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დამტკიცებული საინვესტიციო გეგმის საფუძველზე, კომპანიას 2020-2022 წლებში კაპიტალურ დანახარჯებში 6,000 ლარის ინვესტირების ვალდებულება აქვს. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მას დაკმაყოფილებული აქვს ხსენებული ვალდებულება.

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები და ნაშთები

19.1 საოპერაციო გარიგებები

ოპერაციები და ნაშთები გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან და ნაშთები საოპერაციო საქმიანობაში	ამონაგები დაკავშირებული მხარეებისგან	ხარჯები დაკავშირებულ მხარეებთან
მშობელი საწარმოს კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმოები		
2022		
„ვეონ საქართველო“	15	–
სხვა დაკავშირებული მხარე	–	169
2021		
„ვეონ საქართველო“	15	–
სხვა დაკავშირებული მხარე	–	80

როგორც 17.2 შენიშვნაშია აღწერილი, კომპანიამ მშობელ საწარმოს გადაუხადა 11,220 ლარი (2021 წ.: 363 ლარი).

19.2 უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის (წარმოდგენილი გენერალური და ფინანსური დირექტორების სახით) მთლიანი ანაზღაურება 2022 წელს მოიცავდა დასაქმებულთა მოკლევადიან გასამრჯელოებს 406 ლარის ოდენობით (2021 წ.: 390 ლარი) და ბონუსებს 67 ლარის ოდენობით (2021 წ.: 33 ლარი).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოიცავდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, გადასახდელ ხელფასებს, საიჯარო და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებისთვის შემდეგი ძირითადი რისკებია დამახასიათებელი: საკრედიტო, სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები. კომპანიას ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკების კონტროლის პოლიტიკა არ აქვს, გარდა საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებისა.

კომპანიას მიაჩნია, რომ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური ინსტრუმენტების თანხები მათ სამართლიან ღირებულებათა გონივრული შეფასებაა მათი მოკლევადიანი ხასიათიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. კომპანიას საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობის (ძირითადად, სავაჭრო მოთხოვნების გამო) და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და საფინანსო დაწესებულებებში განთავსებული მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე.

საკრედიტო რისკი, ანუ რისკი იმისა, რომ კონტრაქტის დავალიანებას ვერ დაფარავს, ძირითადად კონტროლდება ურჩი აბონენტებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების დროულად შეწყვეტით. კომპანიის საკრედიტო რისკის მოცულობას წარმოადგენს სავაჭრო მოთხოვნების და ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საერთო ნაშთი 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხით შემცირებული სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი ყველაზე ზუსტად ასახავს იმ სავაჭრო მოთხოვნების მოცულობას, რომლის ამოღებაც მოსალოდნელია.

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების უდიდესი ნაწილის საქართველოს წამყვან ბანკებში განთავსებით. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს იმ ბანკების სტატუსს, რომლებშიც განთავსებულია ფულადი სახსრები.

კომპანია აბონენტებს ქსელიდან თიშავს, როდესაც მათი დავალიანება 17-ზე მეტი დღით ხდება ვადაგადაცილებული. შესაბამისად, კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები თითქმის მთლიანად ამოღებადია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებზე გავლენას ახდენს ძირითადი ვალუტების კურსების მერყეობა.

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია კომპანიის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დასაბეგრი მოგების მგრძნობელობა აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვალებადობის მიმართ, როცა ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია (ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებაში მომხდარი ცვლილებების გამო).

		სავალუტო კურსის	ეფექტი მოგებაზე	ეფექტი მოგებაზე
		ზრდა/(კლება), %		
2022	აშშ დოლარი	19%/(19%)	(71)	71
	ევრო	23%/(23%)	(11,390)	11,390
2021	აშშ დოლარი	14%(14%)	(1)	1
	ევრო	15%(15%)	(7,918)	7,918

ლიკვიდობის რისკი

კომპანია ფულადი სახსრების დეფიციტის რისკს აკონტროლებს ფულადი ნაკადების მოსალოდნელი გასვლის და შემოსვლის ანალიზით ერთ თვეზე ნაკლები, ერთიდან სამ თვემდე, სამი თვიდან ერთ წლამდე, ერთიდან ხუთ წლამდე და 5 წელზე მეტი პერიოდებისთვის.

კომპანია თავისი ფულადი სახსრების დანაკლისის რისკს აკონტროლებს წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანების მაჩვენებლების რეგულარული გადამოწმებით. წმინდა მიმდინარე ფინანსური დავალიანება წარმოადგენს მოხმარებული ბუნებრივი გაზისთვის წინა პერიოდებში დარიცხული დავალიანებით შემცირებულ მთლიან მიმდინარე ვალდებულებებსა და მიმდინარე აქტივებს შორის სხვაობას. მე-2 შენიშვნაში მოცემულია კომპანიის წინაშე მდგარი ლიკვიდობის რისკები და ხელმძღვანელობის დეტალური გეგმები მათ მართვასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული გადახდების საფუძველზე.

2022 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-1 თვე	1-3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
სავაჭრო ვალდებულება	70,069	70,069	–	66,436	1,315	2,318	–	–
დასაქმებული პირების მიმართ	2,598	2,598	–	2,598	–	–	–	–
საიჯარო ვალდებულებები	1,021	1,196	–	57	63	635	441	–
სხვა ვალდებულება	5,843	5,843	–	30	–	–	5,813	–
სხვა ფინანსური ვალდებულებები	96,461	128,635	–	2,796	5,660	14,085	86,271	19,823
	175,992	208,341	–	71,917	7,038	17,038	92,525	19,823

შპს „თბილისი ენერჯი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

2021 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-1 თვე	1-3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
სავაჭრო								-
ვალდებულება	98,083	98,083	40,864	56,291	81	847	-	-
დასაქმებული								-
პირების მიმართ	2,032	2,032	-	2,032	-	-	-	-
საიჯარო								-
ვალდებულებები	1,046	1,229	-	56	62	277	834	-
სხვა ვალდებულება	45	45	-	45	-	-	-	-
სხვა ფინანსური								
ვალდებულებები	116,466	141,579	-	2,501	5,025	49,237	58,821	25,995
	217,672	242,968	40,864	60,925	5,168	50,361	59,655	25,995

2021 წლის 1 იანვარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკ- რულებო ფულადი ნაკადები	მოთხოვნამდე	0-1 თვე	1-3 თვე	3-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი
სავაჭრო								-
ვალდებულება	82,997	82,997	19,100	62,230	-	1,667	-	-
დასაქმებული								-
პირების მიმართ	1,735	1,735	-	1,735	-	-	-	-
საიჯარო								-
ვალდებულებები	1,032	1,465	-	55	89	283	1,038	-
სხვა ვალდებულება	31	31	-	31	-	-	-	-
სხვა ფინანსური								
ვალდებულებები	133,620	166,969	-	1,846	5,035	52,740	64,947	42,401
	219,415	253,197	19,100	65,897	5,124	54,690	65,985	42,401

სამართლიანი ღირებულება

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება საანგარიშგებო თარიღისთვის მნიშვნელოვნად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებებისგან მათი მოკლევადიანი ხასიათის გამო, სხვა ფინანსური ვალდებულებების გარდა. კომპანიის სხვა ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაბამისად არის 93,491 ლარი, 115,336 ლარი და 131,924 ლარი. ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც ფასდება ან გაცხადდება, იერარქიის მე-3 დონეს განეკუთვნება.

საოპერაციო რისკის მართვა

ზემოთ მოცემული თავების შესაბამისად, კომპანიის მიერ სოციალურ სექტორზე დარიცხულ ტარიფებს სემეკი არეგულირებს. სოციალურ სექტორზე გაყიდვებმა კომპანიის 2022 წლის გაყიდვების 64,63% შეადგინა (2021 წ.: 66,26%). იმის გათვალისწინებით, რომ ბუნებრივი გაზის შესყიდვის ფასები აშშ დოლარში განისაზღვრება, ხოლო გასაყიდი ტარიფი ლარში, ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის მერყეობა სერიოზულ საოპერაციო რისკს უქმნის კომპანიას.

21. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

გადახდები მშობელი საწარმოს სესხზე

2023 წლის განმავლობაში, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე, კომპანიამ გადაიხადა 49,735 ლარი, შესაბამის გადასახადებთან ერთად სხვა ფინანსური ვალდებულებების დასაფარად (მე-16 შენიშვნა).

2023 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და გასცა 1,600 ლარის დივიდენდები თავის მშობელ საწარმოზე.

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

2022 წელს გაწეული სამუშაოს

შედეგების მიხედვით

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

შინაარსი

1.	ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ	3
2.	სტრუქტურა.....	4
	მომსახურების ცენტრები.....	4
3.	2019-2022 წლების სტატისტიკა.....	5
	ცხრილი #1 შესყიდული გაზის მოცულობები.....	5
	ცხრილი #2: აბონენტების რაოდენობა	5
	ცხრილი #3: მომხმარებლების ზრდის დინამიკა 2019-2022 წლებში	6
	ცხრილი #4: ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგის შედარება, ფაქტობრივ დანაკარგთან	6
4.	კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა.....	6
	ადამიანის უფლებების დაცვა და კორუფციასთან ბრძოლა	7
	თანამშრომელთა განვითარებასა და მომსახურების ხარისხზე ზრუნვა.....	7
	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები	9
5.	პროგრამული უზრუნველყოფა	10
6.	2023 წლის გეგმები და რისკები.....	10
	2023 წლის ინვესტიციები	10
	ტექნიკური მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები	11
	ადმინისტრაციული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები.....	11
	კომერციული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები	12
	პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები	12
	სავალუტო რისკი.....	12
7.	ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2021-2022 წლებში	13
	ადრე გამოცემული მმართველობის ანგარიშგების ხელახლა გამოცემა და გადაანგარიშება.....	143
	ცხრილი #5:.....	14

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „თბილისი ენერჯი“ („კომპანია“) საქმიანობის ძირითადი საგანია ქ. თბილისის მომხმარებელთა უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო გაზომომარაგება შესაბამისი ანაზღაურების პირობით.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის („სემეკი“) მხრიდან კომპანიას მინიჭებული აქვს ლიცენზია, რომლის პირობების მიხედვითაც კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს აბონენტებისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდება. სოციალური გაზის ტარიფები რეგულირდება „სემეკის“ მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის 18 ა.

2019 წლიდან კომპანიის გენერალური დირექტორის პოზიციას იკავებს მამუკა კობახიძე.

მამუკა კობახიძე - 01/01/1979

სამუშაო გამოცდილება

30/07/2019-დღემდე, შპს „თბილისი ენერჯი“, გენერალური დირექტორი

5/11/2018-30/07/2019 - შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, გენერალური დირექტორი

22/11/2017-25/01/2019 - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“, გენერალური დირექტორი

18/11/2016-05/12/2017 - შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, სპეციალური მმართველი

30/10/2015-25/12/2017 - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“, დირექტორი

11/11/2008-03/07/2015 - შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, გენერალური დირექტორი

24/09/2007-11/11/2008 - შპს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია“, მომარაგებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსი

განათლება და კვალიფიკაცია

2011 წელი - დანია, კომპანია „რამბოლი“ მაგისტრალური მილსადენების უსაფრთხოების ზონებისთვის რისკის შეფასების საანგარიშო მეთოდოლოგიის შესწავლა, მაგისტრალური მილსადენების მშენებლობით და ექსპლუატაციით გამოწვეული რისკების შეფასების


შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება

სპეციალისტი.

2000-2002 წლები - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
კომერციის ფაკულტეტი (საქონელმომოქცევის ეკონომიკა), ეკონომიკის მაგისტრი

1996-2000 წლები - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
კომერციის ფაკულტეტი (ვაჭრობის ეკონომიკა და მარკეტინგი), ეკონომიკისა და მარკეტინგის
ბაკალავრი

2. სტრუქტურა



მომსახურების ცენტრები

შპს „თბილისი ენერჯის“ აქვს 8 მომსახურების ცენტრი: ისანი-სამგორი-ვაზისუბნის მომსახურების ცენტრი, გლდანი-სანჯონა-თემქის მომსახურების ცენტრი, დილომი-დიდუბის მომსახურების ცენტრი, ჩულურეთი-ნაძალადევის მომსახურების ცენტრი, საბურთალო-

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

ნუცუბიძის მომსახურების ცენტრი, ვაკე-წყნეთის მომსახურების ცენტრი, მთაწმინდა-კრწანისის მომსახურების ცენტრი და კომპანიის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებული მოქალაქეთა მომსახურების სივრცე, რაც მომხმარებლებს საშუალებას აძლევთ მომსახურება მიიღონ იმ უბანში, რომელიც მათთვისაა კომფორტული.

3. 2019-2022 წლების სტატისტიკა

ცხრილი #1 შესყიდული გაზის მოცულობები

მაჩვენებელი	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
ბუნებრივი გაზის მიღება მ³	697 770 346	690 312 351	740 043 915	799 142 778
ბუნებრივი გაზის რეალიზაცია მ³	611 597 751	618 034 152	674 774 931	731 602 939
სულ დანაკარგი მ³	37 815 454	35 932 194	34 549 288	33 030 466
სულ დანაკარგი %	5.46%	5.22%	4.68%	4.14%


ცხრილი #2: აბონენტების რაოდენობა

კატეგორია	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი	2022 წელი
საყოფაცხოვრებო	456 151	477 599	498 322	516 424
არასაყოფაცხოვრებო	18 798	18 848	19 577	20 007
სულ	474 949	496 447	517 899	536 431


კომპანიის აბონენტების საერთო რაოდენობა ბოლო 4 წლის განმავლობაში 12.94%-ით გაიზარდა.

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

ცხრილი #3: მომხმარებლების ზრდის დინამიკა 2019-2022 წლებში



ცხრილი #4: ბუნებრივი გაზის ნორმატიული დანაკარგის შედარება, ფაქტობრივ დანაკარგთან



4. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

შპს „თბილისი ენერჯი“ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საკითხს და მას განიხილავს, როგორც გრძელვადიან პროგრამას და

შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის განუყოფელ ნაწილს. განსაკუთრებით ეს ეხება თანამშრომელთა განვითარებასა და შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაუმჯობესებას.

ადამიანის უფლებების დაცვა და კორუფციასთან ბრძოლა

ადამიანის უფლებები კომპანიის ხელშეკრულებების მიხედვით სრულად არის დაცული და უტოლდება საერთაშორისოდ აღიარებულ შრომის სტანდარტებს. დაცულია შრომის უსაფრთხოების წესები უმაღლესი სტანდარტებით, რაზეც აღებული სერტიფიკატები და აუდიტის დასკვნები მეტყველებს. ამას გარდა, კომპანია ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, რომელიც უკავშირდება კომპანიის საქმიანობიდან გამოწვეულ დაზარალებულ პირებს და უნაზღაურებს მათ, მიყენებულ ზარალს.

კომპანია მეტი გამჭვირვალობისთვის ყველანაირ გადარიცხვას უნაღდო ანგარიშსწორებით ახორციელებს. შესაბამისად, ყველა საბანკო გადარიცხვა ავტორიზებული ფინანსური ინსტიტუტების მიერ ხორციელდება, რაც გამორიცხავს კორუფციის არსებობას.

თანამშრომელთა განვითარებასა და მომსახურების ხარისხზე ზრუნვა

2022 წელს გადამზადდა, კომპანიაში ტექნიკურ პოზიციებზე დასაქმებული თანამშრომლების დიდი ნაწილი. კომპანიაში დასაქმებულმა შემდუღებლებმა, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გაიარეს სასერტიფიკატო კურსი და განაახლეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სიმულაციური სწავლება და სერტიფიცირება გაიარა ტექნიკური სამუშაოების შემსრულებელმა 240-მა თანამშრომელმა, რაც საველე-ტექნიკური სამუშაოების შესრულების პროცესში დიდი მხარდაჭერა.

ასევე, წარმატებით გაგრძელდა 2021 წელს დაწყებული პროფესიული გადამზადებების პროცესი, კომპანიის კომერციული სექტორის მიმართულებით და შედეგად, 2022 წელს პროფესიული სწავლება გაიარა დისტრიბუციის და მსხვილ მომხმარებლებთან ურთიერთობის სამსახურების დასაქმებულთა იმ ნაწილმა, რომელთაც 2021 წელს სხვადასხვა მიზეზების გამო არ შეეხო გადამზადების პროცესი.

შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება

ვინაიდან კომპანიის საქმიანობა სპეციფიურ კვალიფიკაციას და ცოდნას მოითხოვს, კომპანიის მიზანია მისცეს ყველა დასაქმებულს პროფესიული ზრდის და კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა. დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირება, უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნას და ზრდის მომსახურების ხარისხს, რაც დადებითად აისახება კომპანიის საქმიანობის საერთო შედეგებზე და განაპირობებს თანმიმდევრული და უწყვეტი განვითარების პროცესს.

2022 წელს კომპანიამ დაიწყო მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის კვლევის სისტემატიური პროცესი, რის შედეგად ხდება კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მომხმარებლების მიერ გამოკვეთილი საკითხებზე რეალურ დროში რეაგირებისთვის. კერძოდ, კომპანია ყოველდღიურ რეჟიმში სწავლობს მომხმარებელთა შეფასებებს და ახდენს დაუყოვნებლივ რეაგირებას მათი მხრიდან დაფიქსირებულ საკითხებზე.

2022 წელს მოქალაქეთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა მომსახურების სივრცეების ინფრასტრუქტურის ბრენდირების, მოწესრიგება/გარემონტებისა და მოწყობის პროცესის დასრულება. აღნიშნული ღონისძიებით კომპანიის მომხმარებლები დედაქალაქში არსებულ მომსახურების ყველა სივრცეში მიიღებენ თანამედროვე, გამარტივებულ და მოქნილ მომსახურებას.

პანდემიური ვითარების გამო მომსახურების დისტანციური არხების შექმნის საფუძველზე მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, კომპანიაში დაიხვეწა დისტანციური მომსახურება და გამარტივდა ბიზნესპროცესები. კერძოდ, მომხმარებლის კომპანიასთან დისტანციური ურთიერთობის ძირითად არხად ჩამოყალიბდა პირადი კაბინეტი.

პირადი კაბინეტი მომხმარებელს საშუალებას აძლევს ყოველგვარი განაცხადით მომართვის გარეშე მომენტალურად მიიღოს:

- ცნობა დავალიანების შესახებ;
- ცნობა აბონენტად რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა დარიცხვა-გადახდების ისტორიის შესახებ;

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

მომხმარებლებს ასევე შეუძლიათ მიიღონ და გამოგვიგზავნონ შეტყობინებები კომპანიის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტების დასაცავად გატარებული ღონისძიებები

კომპანია „თბილისი ენერჯის“ შრომის უსაფრთხოების, გარემოს დაცვისა და ISO მენეჯმენტის სამსახურის მიერ 2022 წლის განმავლობაში შრომითი სტანდარტების დაცვასთან დაკავშირებით გატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- კომპანიის ყველა თანამშრომელს სრულად ჩაუტარდა შრომის უსაფრთხოების ტრენინგები;
- შრომის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვის მიზნით, ინსპექტირების წლიური პროგრამის შესაბამისად ჩატარდა შენობებისა და ტექნიკური ჯგუფების სრული მონიტორინგი;
- შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ინჟინრებმა განაახლეს კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები;
- პირველადი სამედიცინო დახმარების ტრენინგი გაიარა საველე ტექნიკურმა პერსონალმა. გაიცა შესაბამისი სერტიფიკატები;
- კომპანიის შენობებში განთავსდა საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისი სამედიცინო დახმარების ყუთები;
- საველე ტექნიკური ჯგუფებს გადაეცათ საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისი სამედიცინო დახმარების ჩანთები;
- კომპანიის საკუთრებაში არსებული შენობებისთვის შეიქმნა და განთავსდა საევაკუაციო გეგმები;
- შენობებში განთავსდა უსაფრთხოების ნიშნები;
- გადამოწმდა მომსახურების ცენტრებსა და საოფისე სივრცეებში განთავსებული ცეცხლმაქრები;
- შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით, გარემონტდა კომპანიის შენობების ნაწილი;
- სამუშაო გარემოს უსაფრთხოების სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით,

შპს „თბილისი ენერჯი“ მმართველობის ანგარიშგება

საჭიროებიდან გამომდინარე, შეიცვალა ავეჯი, ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა;

- გადამოწმდა მაღალი წნევის ბალონები;
- შეძენილ იქნა თხევადი გაზის ბალონები;
- შეიცვალა მაღალი წნევის ბალონების მანომეტრები და სხვა აქსესუარები;
- შეძენილ იქნა უკუსარქველები;
- მოეწყო სპეციალური გალიები მაღალი წნევის ბალონების უსაფრთხოდ დასაწყობებისთვის;
- კომპანიის ავტომობილებში მოეწყო ბალონის გამყოფი ბარიერები;
- განახლდა ავტოპარკის ნაწილი;
- შეიცვალა-განახლდა ტექნიკური პერსონალის ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები.

5. პროგრამული უზრუნველყოფა

2022 წელს დაინერგა მრიცხველებისა და ლუქების ჩამოწერის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების ცენტრებში არსებული მრიცხველებისა და ლუქების მარაგის აღრიცხვას და მათი ჩამოწერის ავტომატიზაციას.

6. 2023 წლის გეგმები და რისკები

2023 წლის ინვესტიციები

კომპანია მიზნად ისახავს 34,5 მლნ ლარის ინვესტიციის განხორციელებას. ეს ინვესტიციები მათ შორის, მოხმარდება ამორტიზებული მილსადენების რეაბილიტაციას და ამ სამუშაოებისთვის საჭირო მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის შეძენას. ასევე გაგრძელდება მრიცხველების გარეთ გამოტანის პროცესიც. კომპანიამ უკვე მოახდინა ბუნებრივი გაზის დანაკარგის მნიშვნელოვნად შემცირება, რომლის მთავარი გამომწვევი ფაქტორიც ამორტიზებული და დაზიანებული გაზის მილების აღდგენა ან ახლით ჩანაცვლება იყო. თუ კომპანიას სურს, რომ მინიმუმამდე დაიყვანოს გაზის დანაკარგი და ასევე შეამციროს

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

გარემოს დაბინძურების მაჩვენებელი, მან უნდა განაგრძოს ქსელის განახლებისთვის ინვესტიციების განხორციელება.

ტექნიკური მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები

2023 წელს დაგეგმილია 26 საინვესტიციო პროექტის განხორციელება, რომელიც მოიცავს გაზსადენების სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო და ახალი ქსელების სამშენებლო სამუშაოებს.

ამავე წელს, თბილისის მასშტაბით დაგეგმილია 10,000 მრიცხველის გარეთ გამოტანა, რაც ამარტივებს დავალიანების აღრიცხვის პროცესს და ამცირებს აბონენტების მხრიდან ბუნებრივი გაზის მიტაცების რისკს.

ადმინისტრაციული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები

მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებისა და სრულყოფის მიზნით, დაგეგმილია მომსახურების სივრცეებში ვიზიტორთა ნაკადების მართვა იმისათვის, რომ მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სასურველი მომსახურების მიღებისთვის საჭირო დრო. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საჭიროა ვიზიტორთა ნაკადების გეოგრაფიული და შინაარსობრივი შესწავლა, შესაბამისი გამოკითხვების ჩატარება და მოქალაქეთა უკუკავშირის საფუძველზე მათი ინტერესებისა და შენიშვნა/მოსაზრებების გათვალისწინებით შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

2023 წლის მანძილზე ასევე იგეგმება დისტანციური მომსახურების მიღების კიდევ ერთი არხის - ცხელი ხაზის მომსახურების სრულყოფა და გაუმჯობესება. კერძოდ, ცხელი ხაზის მეშვეობით 24/7 დაფიქსირებულ ისეთ საკითხებზე, რომლებიც საჭიროებენ კომპანიის მხრიდან შემდგომ რეაგირებას (ქსელისა და დანადგარების გადამოწმება, მრიცხველის გამართულობის შემოწმება და სხვა), ახალი ფუნქციონალის ამუშავება, რომლის მეშვეობითაც სრულიად გამჭვირვალე და ოპერატიული გახდება ქოლცენტრში შემოსული საკითხის მოძრაობისა და მასზე რეაგირების პროცესი.

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

კომერციული მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები

მიმდინარე წელს გეგმიური რევიზიის ჩატარება კვლავინდებურად დაიწყება იმ მომხმარებელთა გადამოწმებით, რომელთაც 2021-22 წლებში უფიქსირდებოდათ რაიმე ტიპის დარღვევა. 2023 წელს, იგეგმება 498,575 მომხმარებლის შემოწმება.

გარდა იმ მრიცხველებისა, რომლებიც გარეთ არის გამოსატანი, კომპანიის ანგარიშებზე ჯერ კიდევ ირიცხება ფიზიკურად, თითქმის სრულად ან მორალურად ამორტიზირებული მრიცხველები, რომელთა შეცვლაც ეტაპობრივად ხორციელდება. 2023 წელს დაგეგმილია ასეთი 10 000 მრიცხველის გამოცვლა.

2023 წელს, მსხვილ მომხმარებელთა კატეგორიის აბონენტებთან დაგეგმილია 570-მდე ჭკვიანი მრიცხველის დამონტაჟება, რაც სრულად უზრუნველყოფს მათ მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობების დისტანციურად აღრიცხვის შესაძლებლობას.

პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები

2023 წელს იგეგმება რამოდენიმე პროგრამული პაკეტის დანერგვა:

- გაზიფიკაციის პროგრამის განახლება, რაც მოიცავს: ლუქების მართვა და აღრიცხვას, USSD - ქოლ ცენტრთან ინტეგრაციას, სიმძლავრის გაზრდის და პირველადი ჩართვების აღრიცხვას, ჭკვიანი მრიცხველების მართვის ჩანართის დამატებას, პირადი კაბინეტის ადმინისტრირების მოდულის დამატებას.
- გაზიფიკაციის დერეგულირების პროგრამის დანერგვა, რაც მოიცავს შემდეგი პროცესების აღრიცხვასა და მართვას: შიდა ქსელის მოწყობა, მრიცხველის გადატანა, მილსადენის გადატანა.
- გადახდების არხის აწყობა გაზიფიკაციის დერეგულირების პროცესებისთვის.
- წყვეტების აღრიცხვის პროგრამული უზრუნველყოფა.

სავალუტო რისკი

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი რისკებისა, კომპანიისთვის გამოწვევად რჩება სავალუტო რისკი.

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

გამომდინარე იქიდან, რომ ბუნებრივი გაზი იმპორტირებული პროდუქტია, მის ფასზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ლარის კურსის ცვლილება. გარდა ამისა, შპს „თბილისი ენერჯი“ მომსახურების ტარიფი დგინდება „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ, რაც იმას ნიშნავს, რომ ტარიფის ცვლილება და შესაბამისად მყისიერი რეაგირების მოხდენა რთულია, შესაბამისად კომპანიისთვის პოტენციური ზარალის მიღების შანსი კიდევ უფრო იზრდება.

7. ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები 2021-2022 წლებში

აღრე გამოცემული მმართველობის ანგარიშგების ხელახლა გამოცემა და გადაანგარიშება

კომპანიამ აღრე გამოსცა მმართველობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. 2022 წლის მმართველობის ანგარიშგების გამოცემაზე ნებართვა 2023 წლის 25 სექტემბერს გაიცა. ეს მმართველობის ანგარიშგება არის ხელახლა გამოცემული მმართველობის ანგარიშგება და ანაცვლებს 2022 წლის მმართველობის ანგარიშგებას, რომლის გამოცემაზე უფლებამოსილება გაიცა 2023 წლის 25 სექტემბერს. ამ ხელახლა გამოქვეყნებულ მმართველობის ანგარიშგებაში განხორციელებული ცვლილებები აღწერილია ქვემოთ.

2019 წლის განმავლობაში მშობელმა საწარმო რამდენიმე სესხი მიიღო ქართული კომერციული ბანკისგან. შეთანხმებების თანახმად, კომპანია და მისი მშობელი საწარმო მოიხსენიებიან როგორც მსესხებლები და ორივე აწერენ ხელს სესხთან დაკავშირებულ დოკუმენტებს. თუმცა სესხების სრული თანხა მხოლოდ მშობელმა საწარმომ აიღო. ხელმძღვანელობამ შეაფასა ამ სესხის ხელშეკრულებებში, როგორც საგარანტიო შეთანხმებაში მონაწილეობა და აღიარა გარანტიის სამართლიანი ღირებულება შეთანხმების თარიღში. 2022 წლისა და 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიას არ შეუფასებია მოსალოდნელი ანგარიშსწორების თანხა შესაბამისი საგარანტიო ვალდებულების შეფასების გარიგების საფუძველზე.

კომპანიამ გადახედა მის მიდგომას ზემოთ ხსენებულ ყველა ხელშეკრულებაში მშობელ საწარმოსთან და კომერციული ბანკთან მონაწილეობის შესახებ და აღიარა ისინი სხვა

**შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება**

ფინანსურ ვალდებულების სახით მის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და მოახდინა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში შესული სხვა ელემენტების კორექტირება იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ყველა სესხი გადაიხდება და საბოლოოდ დაიფარება კომპანიის მიერ. გარდა ამისა, კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება განახორციელოს კონკრეტული რეტროსპექტული ცვლილებები რიცხვებში. შესაბამისად ქვემოთ წარმოდგენილია ხელახლა გამოცემული და გადაანგარიშებული სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

რიცხვები წამოდგენილია ათასებში

ცხრილი #5:

	2022 ხელახლა გამოცემული	2021 გადაანგარი- შებული	ცვლილება
ამონაგები	438,724	363,293	21%
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება	(259,109)	(244,285)	6%
ხელფასი და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	(29,705)	(24,097)	23%
გაზის ტრანსპორტირების დანახარჯები	(14,512)	(13,457)	8%
ცვეთა და ამორტიზაცია	(12,385)	(11,041)	12%
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი (ანარიცხი)/აღდგენა	(729)	310	-335%
სხვა საოპერაციო ხარჯები	(17,547)	(14,633)	20%
საოპერაციო მოგება	104,737	56,090	87%
ფინანსური შემოსავალი	330	97	240%
ფინანსური დანახარჯები	(11,368)	(12,258)	-7%
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	8,759	8,294	6%
სხვა შემოსავალი	1,728	9,219	-81%
სხვა ხარჯები	(8,149)	(1,475)	452%
მოგება დაბეგვრამდე	96,037	59,967	60%
მოგების გადასახადი	-	-	-
წლის მოგება	96,037	59,967	60%
წლის სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	96,037	59,967	60%

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ბუნებრივი გაზის შესყიდვა და ქ.

შპს „თბილისი ენერჯი“
მმართველობის ანგარიშგება

თბილისში კომუნალურ-საყოფაცხოვრებო და საწარმოო მომხმარებლებზე მიწოდება/განაწილება. ძირითადი საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა მთლიანი შემოსავლის 95% (2021 წელს: 95%).

2021 წელთან შედარებით 2022 წელს გაზრდილია მოხმარებული ბუნებრივი გაზის მოცულობა, რამაც გამოიწვია ამონაგებისა და შესყიდული გაზის თვითღირებულების ზრდა.

შესყიდული გაზის ღირებულება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ლარი/აშშ დოლარის გაცვლითი კურსის მერყეობაზე, რადგან ბუნებრივი აირის შესყიდვის ფასები კომპანიისთვის აშშ დოლარში არის განსაზღვრული. 2022 წლის განმავლობაში ლარი აშშ დოლართან მიმართებაში გამყარდა, რამაც დადებითად იმოქმედა შესყიდული ბუნებრივი აირის თვითღირებულებაზე.



2022 წელს კომპანია და მისი გაზის მომწოდებლები შეთანხმდნენ ბუნებრივი გაზის ნასყიდობის თანხის დაგვიანებით გადახდებისათვის დარიცხულ საურავზე. შეთანხმებული საურავის ოდენობა იყო 10,113 ლარი, საიდანაც 1,160 ლარი კომპანიას უკვე აღიარებული ქონდა. აღნიშნული ტრანზაქცია ნაჩვენებია სხვა ხარჯებში. შედეგად, 2021 წელთან შედარებით სხვა ხარჯები 452% - ით გაიზარდა.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, 2022 წელს კომპანიის წმინდა მოგება 2021 წელთან შედარებით 60% - ით გაიზარდა და 96,037 ათასი ლარი შეადგინა.

შპს „თბილისი ენერჯის“ სახელით ხელმოწერილია და ავტორიზებულია 2024 წლის 29 იანვარს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი


მამუკა კობახიძე

ბექა გურგენიძე